კულტურული მემკვიდრეობის შეფასების და ზედაპირული არქეოლოგიური დაზვერვების		
	ლეიერკო / LayerCo Layerco.org მისამართი: თბილისი, ზ. ფალიაშვილის 80ა, 0179 d.darejanashvili@gmail.com	

ატენის სიონის ეზოში
ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში

თარიღი	15.12.2025
შპს „ლეიერკო“	ხელმოწერა
დავით დარეჯანაშვილი	
ქეთევან დიღმელაშვილი	

თბილისი 2025

არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გამცემი: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.
არქეოლოგიური ნებართვის მფლობელი: შპს „ლეიერკო“
არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვა: N12/3904
არქეოლოგები: არქეოლოგიის დოქტორი დავით დარეჯანაშვილი, ისტორიის დოქტორი ქეთევან დიღმელაშვილი.

შესავალი

ატენის სიონი მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ატენში. თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მდ. ტანას ხეობაში. ტანას ხეობა შიდა ქართლიდან კლდეკარსა და თორისკენ გადასასვლელ ერთ-ერთ უმოკლეს გზას წარმოადგენდა. შესაბამისად, ამ ხეობაში ატენის გაქალაქება ამ გზის მნიშვნელობამ განაპირობა. ტაძარი მდინარის მარცხენა მხარეს სპეციალურად ამოყვანილ სუბსტრუქციაზე ნაგები ჯვრის ტიპის ტაძარია. მისი მშენებლობა ტაძრის მრავალრიცხოვანი პალეოგრაფიული მონაცემებით VII ს. მეორე ნახევარში (654-689 წწ), ბაგრატიონთა ერთ-ერთი შტოს წარმომადგენლების - ვარაზ მამფალის და მისი ვაჟის ნერსე ერისთავის მიერ უნდა განხორციელებულიყო.

ტაძრის რესტავრაციის დროს, მის გარშემო განხორციელებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გაირკვა, რომ იგი V-VI საუკუნეების ნაეკლესიარზეა აგებული. სირიულ ეპისტოლურ წყაროზე დაყრდნობით, ხელოვნებათმცოდნე და ტაძრის მკვლევარი, გურამ აბრამიშვილი ფიქრობდა, რომ ატენის სიონი უკვე VI ს. საეპისკოპოსო ცენტრი უნდა ყოფილიყო (ტაძრის აფსიდის სამხ. კალთაზე შესრულებული IX ს. ნუსხური წარწერა იხსენიებს ატენის ეპისკოპოსს).

ტაძრის ინტერიერსა და ფასადებზე შესრულებული ქართული და სომხური წარწერებისა და რელიეფების მიხედვით ირკვევა, რომ 946 წ. ატენისთვის გალავანი შემოურტყავთ მიქაელ ბაღვაშის დაფინანსებითა და ბრძანებით, რომლისთვისაც ატენის ხეობა 940 წ. სიგელით უბოძებია ქართველთა მეფე ბაგრატ I-ს. მიქაელ ბაღვაშის ბრძანებით უნდა დაწყებულიყო ატენის სიონის რესტავრაციაც, რომელიც მის ვაჟს რატი I ბაღვაშს დაუსრულებია 983-986 წწ. ხუროთმოძღვარ თოდოსაკის ხელმძღვანელობით.

ტაძარი VII ს. ბოლოსვე მოუხატავთ. შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით, მხატვრობა ანიკონური ხასიათისაა. განახლებული ტაძარი XI საუკუნეში ახლიდან და სრულად მოიხატა.

XIII-XIV სს. ტაძარზე კიდევ ერთი სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო, რაზეც მიანიშნებს რატი პირველი ბაღვაშის გამოსახულების თავზე ჩამატებული ანგელოზის რელიეფი, რომელიც სტილისტურად ამ პერიოდით თარიღდება და ტაძრის სამხრეთ კარიბჭეზე მიშენებული ეკვდერი, რომლის ფრაგმენტები დღესაცაა შემორჩენილი.

ატენის სიონის მხატვრულ-არქიტექტურული და მისი ისტორიის საკითხების კვლევა XIX საუკუნეში იწყება და დღემდე გრძელდება. ბოლო პერიოდში ამ კვლევებმა ერთგვარად თავი მოიყარა ხელოვნებათმცოდნე გურამ აბრამიშვილის მონოგრაფიაში „ატენის სიონი“, რომელმაც შეაჯამა და ახლებურად გადაიაზრა ტაძრის სამშენებლო, სტილისტური და ფერწერული პრობლემები. დღეისთვის ძირითადად მიღებულია მკვლევარის მიგნებები და ქრონოლოგიზაციის საკითხები.

გურამ აბრამიშვილსვე უკავშირდება ატენის სიონში არქეოლოგიური გათხრების დაწყება. მისი ხელმძღვანელობით ექპედიციამ 1969-1992 წლებში შეისწავლა ტაძრის სუბსტრუქციის ტერიტორია და ტაძრის ჩრდილოეთი და სამხრეთი პერიმეტრი. სწორედ

ამ გათხრების შედეგად გაირკვა, რომ VII ს. ტაძრის აგებამდე ამ სუბსტრუქციაზე ნაგებობა მდგარა, რომელსაც გამთხრელი ბაზილიკად მოიაზრებს. აქვე აღმოჩნდა თიხის სარკოფაგი, რომელიც IV-V სს. თიხის სარკოფაგთა ტიპიური მაგალითია. ტაძრის გარშემო დადასტურდა შუა და გვიანი შუა საუკუნეების სამარხები, რომელთა ნაწილს დაზიანებული ჰქონდა ადრეული ნაგებობების ნაშთები.

ჩატარებული სამუშაოების ანგარიში

2020 წლიდან დაიწყო ატენის სიონის სამონასტრო ცხოვრებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რომელიც ითვალისწინებდა ერთის მხრივ კელიების, მეორე მხრივ მაღაზიის და სხვა ნაგებობათა მშენებლობას. ტაძრის დასავლეთით, საიდანაც ტაძართან მისასვლელია და უკვე გაკეთდა მდინარე ტანაზე საფეხმავლო ხიდი, რომლითაც ისტორიული გზიდან მომავალი ვიზიტორი ტაძარში უნდა მოხვდეს, მოაზრებულია მაღაზიის და ტაძრის ისტორიის მუზეუმის მშენებლობა. ამ პროექტის ფარგლებში, მდ. ტანას ნაპირზე, მრავალწლიანი ნარგავებისთვის გამოყენებულ ხელოვნურად გაკეთებულ ტერასებზე, მოიხსნა მიწის ზედა – ნაყარი ფენა, რომლის ქვეშ გამოჩნდა კულტურული ფენა. გარდა ამისა, ამინდმა გამოიწვია ერთის მხრივ მიწის ეროზია, მეორეს მხრივ ადგილ-ადგილ ამ ეროზირებული მიწის ჩამოშლა, რომლის დროსაც გამოჩნდა რამდენიმე სამარხი. შედეგად აუცილებელი გახდა არქეოლოგიური გადარჩენითი და დაზვერვითი სამუშაოების დაწყება.

ტაძრის ტერიტორია



ტაძრის დასავლეთი ეზო – საკვლევი ტერიტორია

<u>ა) სამაროვანი:</u>

გამოჩენილი სამარხები იმ სამაროვნის კუთვნილია, რომლის ერთი ნაწილი გურამ აბრამიშვილის ხელმძღვანელობით იქნა შესწავლილი. სამარხები მდებარეობს ტაძართან ამავალი დაფერდებული ბილიკის სამხრეთ ნაწილში და ნაწილობრივ შედის ბილიკის არეში. ჭრილში სულ ოთხი სამარხი ჩანდა, მათგან სამი ქვედა დონეზე, ერთმანეთის გაყოლებით დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე იყო გამართული, ხოლო ერთი – N1 სამარხის თავზე. ეს უკანასკნელი ორმო სამარხს წარმოადგენდა, ხოლო დანარჩენი სამი – ყორე სამარხებს. გამოჩენილი სამარხებიდან ყველაზე აღმოსავლეთით მდებარე სამარხის მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხე ჩანდა, დანარჩენები კი მეტ-ნაკლებად დაზიანებული გახლდათ. ქვედა იარუსის სამარხები გრუნტზე იყო გამართული, რომელიც სამარხის იატაკად იყო გამოყენებული. სამარხები ინდივიდუალურია, N1 და N2 სამარხებში ზრდასრულები იყვნენ დაკრძალულნი თავით დასავლეთით (N3 სამარხი, ვინაიდან დაუზიანებელი იყო და მხოლოდ მცირე ნაწილი ჩანდა, ამიტომ არ გახსნილა), ხოლო ზედაში – მოზარდი. ვინაიდან, სამარხების სრულად გათხრას შესაძლოა ბილიკის მონაკვეთზე მიწის ჩამოშლა გამოეწვია, ამიტომ, N4 სამარხი სრულად ალაგდა, N1 სამარხი და N2 სამარხი მხოლოდ ნაწილობრივ გაიხსნა, ხოლო N3 სამარხი არ გახსნილა. სამარხების ფიქსაციის შემდეგ ისინი ისევ

დაკონსერვდა. თუმცა, სამარხების ხელახალი დაზიანებისგან და ბილიკის ჩამოშლისგან დასაცავად აუცილებელია, რომ ჭრილთან ამოყვანილი იქნეს დამცავი ჯებირი.

სამაროვნის მონაკვეთი

სამარხი N4

სამარხი N1

სამარხი N2

N2 სამარხთან აღმოჩნდა ღია ჩალისფრად გამომწვარი დოქის პირ-ყელის ფრაგმენტი. იგი ფართოა და ცილინდრული კორპუსზე ორმაგი წიბოთი, გარეთ გადმოკეცილი ბრტყელი პირით. ყელწიბოიანი დოქები ქართლის კერამიკაში

გვიანრომაული პერიოდიდან ჩნდება და ფართო გავრცელებას პოვებს ამავე და ადრეული შუა საუკუნეების მონაკვეთში. ამ დროს ვხვდებით, როგორც ერთი წიბოთი, ისე ორმაგი წიბოთი შემკულ ჭურჭელს. მომდევნო პერიოდში (განვითარებულ შუა საუკუნეებში) ყელწიბოიანი დოქები ნაკლებად გვხვდება, განსაკუთრებით ეს ითქმის ორმაგ წიბოიან ჭურჭელზე. შესაბამისად, ატენში აღმოჩენილი ფრაგმენტი უფრო ადრეულ შუა საუკუნეების ყელწიბოიან ჭურჭელს ემსგავსება, თუმცა, მკვეთრად შუა საუკუნეების ჭურჭლისთვის მახასიათებელი პირი, მას უფრო შემდგომი პერიოდისკენ წევს. ვფიქრობთ, შეგვიძლია იგი გარდამავალი პერიოდით დავათარიღოთ. შესაბამისად, სამაროვანიც განვითარებულ შუა საუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს.

N2 სამარხთან აღმოჩენილი ყელწიბოიანი დოქის ფრაგმენტი

<u>ბ) შურფი:</u>

როგორც აღინიშნა, ტაძრის დასავლეთით, ტერასაზე დაგეგმილია მაღაზიისა და მუზეუმის მშენებლობა, რომელიც მიწურის ტიპის იქნება და შესაბამისად, მისთვის მთლიანად უნდა მოიხსნას ტერასა და ჩაჯდეს მიწის სიღრმეში. იმისთვის, რომ გაგვერკვია ნაყარი ფენისა და კულტურული ფენების მონაცვლეობის საკითხი, ტერასის შუა ნაწილში გაიჭრა შურფი (3X1.5 მ). შურფის ჭრილში გამოჩნდა, რომ 1.9 მეტრის სიღრმეზე მიწა ნაყარია, ხოლო 2 მეტრის სიღრმეზე დაიწყო კულტურული ფენა. შურფში ამ ფენიდან აღმოჩნდა სხვადასხვა ეპოქის კერამიკის ფრაგმენტები, რომელთა შორის ნაწილი განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების ჭურჭელია, ნაწილი კი ადრე შუა საუკუნეებისა და გვიანანტიკურიდან ადრეულ შუა საუკუნეებზე გარდამავალი კრამიტის ფრაგმენტები, მათ შორის წითელი წერნაქით შეღებილიც. ამდენად, კულტურული ფენა შურფის მიხედვით 2 მეტრის სიღრმიდან იწყება. იგივე გამოჩნდა შურფის სამხრეთ-დასავლეთით გაკეთებულ N2 სტატიგრაფიულ ჭრილშიც, სადაც კულტურული ფენის არსებობა ამჟამინდელი ტერასის სამაგრი ჯებირის 2 მეტრის სიღრმეში დაფიქსირდა (იხ. ქვემოთ).

ტერასა და შურფის მდებარეობა

ტერასაზე გაკეთებული შურფი



შურფში აღმოჩენილი კერამიკის ფრაგმენტები

<u>გ) სტრატიგრაფიული ჭრილები:</u>

სამუშაოების ფარგლებში გაიწმინდა ბილიკსა და მდინარე ტანას შორის ხელოვნური ტერასის სამაგრი ჯებირის სამხრეთი ფასადის დასავლეთის და აღმოსავლეთის მონაკვეთი. კედლის ჩამოწმენდამ და სტატიგრაფიულმა ჭრილმა შემდეგი ინფორმაცია მოგვცა:

N1 ჭრილში (აღმოსავლეთით) გამოჩნდა ორი სხვადასხვა პერიოდის და სტრუქტურის კედელი. ორივე განახლების კვალით: პირველი, ქვედა დონის კედელი (სიმაღლე – 1 მეტრი) თითქმის კლდოვან ქანზეა დაფუძნებული. თავიდან იგი ნაგები ყოფილა სხვადასხვა ზომის უხეშად დამუშავებული ქვის ჰორიზონტალური წყობით დუღაბზე. მისი განახლებისას წყობაზე დაულაგებიათ უფრო დიდი ზომის სხვადასხვა ფორმის ქვები. ამ კედლის ნაშთს თავზე ადევს დაახლოებით 30 სმ სისქის დანაშრევი ფენა, რომელზეც ამოყვანილია ზედა დონის კედელი. ეს უკანასკნელიც ორი შრისგან შედგება: ქვედა 90 სმ სიმაღლისაა და ნაგებია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით კირ–დუღაბზე. ზედა კი – 60 სმ სიმაღლის და აგრძელებს პირველ შრეს.

N2 ჭრილი (დასავლეთით) გასუფთავდა იქ, სადაც ტერასის ჯებირის ქვეშ მიწა ისედაც ჩამოშლილი იყო და კულტურული ფენა იკვეთებოდა. გასუფთავების შემდეგ გამოიკვეთა საკმაოდ მძლავრი კულტურული ფენა, რომლის შუა ნაწილშიც კირხსნარის სქელი იატაკი (?) დაფიქსირდა, რომელიც ტერასის სიღრმეში გრძელდება.

სტატიგრაფიული ჭრილი N1

სტატიგრაფიული ჭრილი N2

<u>დ) თხრილი:</u>

სამუშაოების ძირითადი ნაწილი დაეთმო ტერასის დასავლეთ კიდეში ეროზიის შედეგად ჩამოშლილ მონაკვეთს, რომელშიც ჩანდა ნაშალი ფენა და ქვევრი. თხრილი გაიჭრა 20 კვადრატულ მეტრზე (5X4 მ), 3.2 მეტრი სიღრმით. სიმაღლის გამო რომ არ მომხდარიყო მიწის ჩაშლა, ამიტომ თხრილში ყოველ 70-100 სმ-ის სიღრმეში ჩრდილოეთის მხარეს ვტოვებდით მცირე ტერასებს.

კორდისა და ჰუმუსის ქვეშ გაიწმინდა ნაყარი ფენა (საშუალოდ 45-50 სმ სისქის), რომელშიც ბაზალტის ფლეთილ ქვებთან ერთად აღმოჩნდა ბაზალტშივე ნათალი ლორფინისებური არქიტექტურული დეტალი (ლორფინი არ უნდა იყოს, რადგან ძალიან სქელი და ტლანქია). ამავე ფენაში თხრილის დასავლეთ კიდეში ჩადგმული აღმოჩნდა ქოცო, რომელსაც ადგილობრივი ქალბატონის თქმით, მის ახალგაზრდობაში (XX ს. მეორე ნახევარში) ზედაშის ღვინისთვის იყენებდნენ.

ნაყარი ფენის მოხსნის შემდეგ, მიწის ზედაპირიდან 1.4 მ-ის სიღრმეში დავედით მიწატკეპნილ იატაკზე, რომელზეც კარგად იკითხებოდა ცეცხლისგან წვის კვალი. დავაფიქსირეთ ხის ძელების ფრაგმენტებიც. კარგად მოიხაზა ნაგებობის კონტურიც სამხრეთის (კედელი N1, მაქსიმალური სიმაღლე 20 სმ) და აღმოსავლეთის კედლით (კედელი N2, მაქსიმალური სიმაღღლე - 90 სმ). N1 და N2 კედლები, უფრო სწორად კედლების ნაშთები, ფლეთილი და რიყის ქვითაა ტალახზე ნაგები და ერთმანეთს ნახევარწრით უერთდება. ნაგებობის დანიშნულებაზე ამ ეტაპზე საუბარი ძნელია, რადგან მისი ნაწილი გაუთხრელ ფართობში შედის და სრული სურათის აღქმა ძნელია. ის, რომ ნაგებობა დამხმარე ტიპის უნდა ყოფილიყო, ამაზე მისი თხელი კედლები მიუთითებს.

თხრილში დაფიქსირებული პირველი - ნაშალი ფენა

თხრილში დაფიქსირებული პირველი – ნაშალი ფენა და ქოცო

თხრილში აღმოჩენილი ზედა ნაგებობა

თხრილში აღმოჩენილი ზედა ნაგებობა

ნაგებობის სამხრეთის კედელი (N1) ამოყვანილი აღმოჩნდა უფრო ადრეულ კედელზე (კედელი N3), რომელიც ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენაა დამხრობილი (სიგრძე - 2 მ.) და დასავლეთით გაუთხრელ ფართობში გრძელდება. იგი ფლეთილი ქვის ჰორიზონტალური წყობით ტალახზეა ნაგები და სიმაღლეში 70 სმ-ზეა შემორჩენილი. ეს კედელიც, თავის მხრივ, ნაწილობრივ ამოყვანილია უფრო ადრეულ კედელზე (კედელი N4), რომლის მხოლოდ მცირე ფრატმენტი გამოჩნდა თხრილის დასავლეთ ჭრილში. N3 კედელი ნაგებობის ჩრდ. კედელი უნდა ყოფილიყო, რადგან, მის სამხრეთით დავაფიქსირეთ თიხატკეპნილი იატაკი, რომელშიც ჩაკირულია ქვევრი და ჩადგმულია თონე. ქვევრი დამზადებულია შედარებით განალექილი თიხით, მოვარდისფროდაა გამომწვარი და კედელზე შემოსდევს რელიეფური ზოლები, რომელთაგან მხრის თავზე შემოვლებული ქედი გრეხილია. ქვევრის პირი სამკუთხა ფორმისაა. როგორც აღინიშნა, ქვევრი ჩაკირულია, რაც მის განვითარებულ შუა საუკუნეებით ათარიღებს. მისგან აღმოსავლეთით 1.4 მ-ში აღმოჩნდა იატაკში სანახევროდ ჩადგმული თონე, რომელსაც ორმაგი კედელი აქვს. თონე შევსილია ნანგრევი ფენით, რომელშიც აღმოჩნდა ბრტყელქუსლიანი სადა ჯამი და განლექილი თიხით ნამზადი მოჩალისფროდ გამომქვარი თეფშის ფრაგმენტი. თონის სამხრეთის ნაწილი მონგრეულია, ხოლო აღმოსავლეთის ნაწილი გაუთხრელ ფართობში შედის, ამიტომ თონე სრულად არ გაწმენდილა.

თხრილში გამოვლენილი ნაგებობების ურთიერთმიმართება

თხრილში გამოვლენილი სამეურნეო ნაგებობა

ქვევრიც და თონეც 1 მ სისქის დანაშრევ ფენაშია ჩადგმული, რომლის ქვემოთ თხრილის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში დაფიქსირდა ხის ძელების დანახშირებული ფრაგმენტები. ვინაიდან, აქ უკვე ახალი უფრო ადრეული კულტურული ფენა იწყებოდა, რომლის კვლევა გაცილებით მეტ ფართობს და დროსაც მოითხოვდა, ამიტომ დაღრმავებისგან თავი შევიკავეთ.

ამდენად, ამ 20 კვადრატულ მეტრ თხრილში გამოვლინდა ხუთი კულტურული ფენა, რომელთაგან ყველაზე ადრეული პირველი და მეორე კულტურული ფენების შესახებ ამ ეტაპზე მსჯელობა ძნელია შეუსწავლელობის გამო, მესამე კულტურული ფენა წარმოადგენს სამეურნეო დანიშნულების ნაგებობას ქვევრითა და თონით, მეოთხე კულტურული ფენა ასევე კუთხემომრგვალებული ნაგებობის ნაშთითაა წარმოდგენილი, ხოლო მეხუთე უკანასკნელი პერიოდის ნაშალითა და მასში ჩადგმული პატარა ქვევრითაა წარმოდგენილი.



თხრილის გეგმა



თხრილის ჭრილი

სამეურნეო ნაგებობისა და მის შემდგომ აგებული კუთხემომრგვალებული ნაგებობის წმენდისას აღოჩენილი მასალა მხოლოდ კერამიკითაა წარმოდგენილი. მათგან უმეტესობა მოიცავს ჭურჭელს და ერთეულის სახით გვხვდება კრამიტების და წყლის მილის ფრაგმენტები. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე დონეზე კერამიკა განვითარებული შუა საუკუნეების ნიმუშებითაა წარმოდგენილი. მათგან განსაკუთრებით გამოვყოფთ ორივე დონეზე აღმოჩენილ მოჭიქულ ჯამებს, რომელთა შორის არის თეთრი ანგობით დაფარული და ყვითელი და მწვანე ჭიქურგადავლებული ჯამის ფრაგმენტები, თეთრი ანგობით დაფარულ ზედაპირზე ამოკაწრულორნამენტიანი და ლაჟვარდისფერ ჭიქურგადავლებული ჯამის, ასევე ღვიძლისფერი ჭიქურით შემკული სამარილე და პოლიქრომული მოჭიქული ჯამის ფრაგმენტები. ყველა მათგანი XI–XIII სს. თარიღდება და საკმაოდ დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი თითქმის ყველა ამ პერიოდის ნამოსახლარზე. მონაპოვარ კერამიკულ ნიმუშებში უნდა გამოვყოთ ღია ჩალისფრად გამომწვარი თხელკედლიანი წმინდად განლექილი კეცის მქონე ჭურჭელი, რომლის ზედაპირი მოხატულია წითელი და შავი საღებავით. მსგავსი ჭურჭელი ასევე კარგადაა ცნობილი XII–XIII სს. აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებიდან. განსაკუთრებით უნდა გავამახვილოთ ყურადღება ზედა დონის ნაგებობაში აღმოჩენილ დოქის პირ–ყურის ფრაგმენტზე. იგი კარგად განლექილი თიხითაა ნამზადი, მოჩალისფრო–მოწითალოდ გამომწვარი, ბრყელი განივკვეთით. ყური ჭურჭლის პირიდანვე იწყებოდა და დიდი ალბათობით, მსგავსად ასეთი ჭურჭლისა, მხარზე უნდა დასრულებულიყო. ყურის თავზე საკმაოდ ლამაზი ხელით ამოკვეთილია სამი ასომთავრული ასო – „ბ“, „ს“ და „ჲ“ კლაკნილი ქარაგმით, რომლის გახსნით წაიკითხება „ბასილი“. წარწერა წაიკითხა პალეოგრაფმა ნიკოლოზ ჟღენტმა, რომელმაც პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით იგი XII ს. დაათარიღა.

როგორც აღინიშნა, კერამიკულ მონაპოვარში ერთეულის სახით გვხვდება როგორც ღარიანი, ისე ბრტყელი კრამიტის ფრაგმენტები. მათგან ღარიანი კრამიტის ერთ–ერთი ფრაგმენტი წითელი წერნაქითაა შეღებილი, რაც მის ყველაზე გვიან – ადრეული შუა საუკუნეებით ათარიღებს. მისი აღმოჩენა განვითარებული შუა საუკუნეების ფენებში ამ ეტაპზე უპასუხოდ რჩება. თუ გავითვალისწინებთ, იმას, რომ ტაძარი ლორფინით იყო დახურული, ხოლო კრამიტები არა მხოლოდ ჩვენ, არამედ გურამ აბრამიშვილის ხელმძღვანელობით წარმოებული გათხრების დროსაც მრავლად აღმოჩნდა, საფიქრებელია, რომ კრამიტით უნდა ყოფილიყო დახურული V–VI სს. ტაძარი, ხოლო შემდგომ პერიოდში უკვე დამხმარე ნაგებობები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, ამავე მონაკვეთზე, მიწის ეროზიის შედეგად გამოჩენილი ანტეფიქსი. იგი ცუდადაა დაცული. დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი თიხით, გამომწვარია წითლად. წარმოადგენდა ღარიან კრამიტში შესასმელ ბოლოს, რომლის ფარი ნახევარწრიული ფორმისაა. ფარზე ბრტყელპირიანი იარაღის დაწოლით გამოსახულია წერტილკიდურიანი ტოლმკლავა ჯვარი. თუ გავითვალისწინებთ, ქართული საკმაოდ მრავალრიცხოვანი ანტეფიქსების დახვეწილობას და საგანგებოდ ნამზადობას, ატენში აღმოჩენილი ანტეფიქსი, უფრო ზერელე ნაკეთობად მოჩანს. საფიქრებელია, რომ ისიც სამეურნეო ნაგებობის გადახურვაში უნდა ყოფილიყო ჩართული.

თხრილის ზედა, ნაშალ ფენაში აღმოჩენილი მასალა

ზედა ნაგებობის ნანგრევში აღმოჩენილი მასალა

ქვედა ნაგებობასა და თონეში აღმოჩენილი მასალა

ამდენად, თუ ნაგებობათა ნანგრევებში აღმოჩენილ კერამიკულ ნაწარმს გავითვალისწინებთ, გამოდის, რომ ერთმანეთზე გამართული ორი ნაგებობა ერთმანეთს დროში დაშორებული არ უნდა იყოს და ორივე განვითარებული შუა საუკუნეებით უნდა თარიღდებოდეს. უფრო ადრეული, ქვევრიანი და თონიანი ნაგებობის დანგრევის შემდეგ მალევე უნდა აეგოთ კუთხემომრგვალებული ნაგებობა, რომელიც ასევე განვითარებული შუა საუკუნეების ბოლოსთვის უნდა დანგრეულიყო. არაა გამორიცხული, რომ ჩვენი მოსაზრება მომდევნო ეტაპზე გათხრებმა დათარიღებაში ცვლილება ან დაკონკრეტება გამოიწვიოს.

თხრილში გამოჩენილი ნაგებობები სათანადო წესით მსუბუქად დაკონსერვდა.

დასკვნები და რეკომენდაციები:

ამდენად, ატენის სიონის დასავლეთით ტერასაზე განხორციელებული გათხრების შედეგად

ა) ნაწილობრივ გაიწმინდა და ისევ სათანადოდ დაკონსერვდა სამაროვნის ოთხი სამარხი.

ბ) გაკეთდა ორი სტატიგრაფიული ჭრილი, რომლითაც გამოიკვეთა ტერასის ჯებირის ოთხი სამშენებლო დონე და მეორე სამშენებლო დონე.

გ) გაკეთდა საძიებო შურფი, რომელმაც ცხადყო, რომ ტერასის 2 მ სისქის მიწის ფენა ნაყარ სტერილურ ფენას წარმოადგენს და მხოლოდ 2 მეტრის სიღრმიდან იწყება განვითარებული შუა საუკუნეების კულტურული ფენა.

დ) 20 კვმ თხრილში გამოვლინდა ხუთი კულტურული ფენა, რომელთაგან ორი წარმოდგენილია სხვადასხვა პერიოდის ნაგებობის ნაშთით. ორივე განვითარებული შუა საუკუნეებით უნდა დათარიღდეს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ პირველი – სამეურნეო ნაგებობის ნგრევის შემდეგ მალევე მის ნანგრევზე აუშენებიათ მეორე –

კუთხემომრგვალებული ნაგებობა. ორივე ნაგებობის მხოლოდ მცირე ნაწილი იქნა გაწმენდილი, დანარჩენი ნაწილი გაუთხრელ ფართობში შედის.

ვინაიდან, ტერასაზე დაგეგმილია ინფრასტრუქტურული ხასიათის ნაგებობის მშენებლობა, **აუცილებელია, რომ**

1. **სრულად იქნეს შესწავლილი ტერასის დასავლეთით გამოვლენილი კულტურული ფენები;**
2. **სამაროვნის შემორჩენილი ნაწილისა და ტაძართან ამავალი ბილიკის დასაცავად აუცილებელია ქვის ჯებირის ამოყვანა.**
3. **ტერასაზე მიწის ზედა დონეზე სამუშაოები წარიმართოს არქეოლოგის მეთვალყურეობით, ხოლო 2 მეტრის სიღრმიდან მიწის სამუშაოებს წინ უძღოდეს არქეოლოგიური გათხრები.**
4. **ვინაიდან, ტერასის დასავლეთ ნაწილში გამოვლენილი არქეოლოგიური ფენები მეტ-ნაკლებად კარგადაა შემორჩენილი, სასურველია მათი სათანადო კონსერვაცია და როგორც სამუზეუმო ექსპონატის ახალ ნაგებობაში ინტეგრირება, ან სხვა ტიპის საინჟინრო გამოსავლით მათი შენარჩუნება.**